



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №24



2013 წლის 8 თებერვალი

ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მე-4 მუხლის 4-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტის და მე-16 მუხლის 1 პუნქტის რ) ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის პროგრამა დანართი N1 - ის შესაბამისად.
2. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის არსებული განკარგულების შესაბამისად.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე  დავით ლომიძე



პროგრამა

1. პროგრამის მიზანი:

ქალაქის ქუჩების, დაბა სურამის და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან დამაკავშირებელი შიდა გზების მოვლა-პატრონობა.

2. პროგრამის ძირითადი მიმართულებები:

ა) ქალაქის პერსპექტიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მიმართულების მუდმივი სრულყოფა ქუჩების დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლოატაციის სფეროში. პროგრესი ქუჩების კეთილმოწყობაში დაკავშირებულია რიგ პრობლემებთან: გრუნტის ყოველმხრივი გამოკვლევა და შესწავლა, მიწის საფარის ჰიდრო და სითბური რეჟიმის კანონების გათვალისწინება, მინერალური მასალების ფართოდ შესწავლა, მოხრეშილი საფარიანი გზების მშენებლობის ტექნოლოგიების გამოკვლევა და სხვა.

ბ) ნორმალური ქუჩა და გზა ხელს უწყობს საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებას. საავტომობილო ტრანსპორტის განვითარება კი განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარების ტემპებს და დონეს. ქალაქის და სხვა ტიპის ტრანსპორტის ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ გზებისა და ქუჩების განვითარებული ქსელის არსებობის პირობებში, რომელსაც გააჩნია ყველა თვისება უსაფრთხო მოძრაობისათვის. როგორც გამოცდილებამ უჩვენა, ნორმალური ქუჩა და გზა დადებითად მოქმედებს ეკონომიკისა და სოციალური დონის განვითარებაზე. ამავ დროს. აქვს უარყოფითი თვისებებიც, რაც დაკავშირებულია დიდი რაოდენობით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევასთან.

გ) ქალაქ ხაშურს გააჩნია ხელსაყრელი ადგილმდებარეობა ტრანზიტული მიმოსვლის თვალსაზრისით. რეგიონთაშორისი და სახელმწიფოთაშორისი სატრანსპორტო კორიდორის შექმნას განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქალაქისათვის, არამედ მთელი რეგიონისათვის. მოვლილი ქალაქის ქუჩები, გზები და ტროტუარები ასევე მნიშვნელოვანია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით.

დ) მოძრაობის უსაფრთხოებისა და მძღოლთა ორიენტაციის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია საგზაო ნიშნების დაყენება, ზღუდეების დადგმა, მიმმართველებისა და ჰორიზონტალური და ვერტიკალური ზოლების დატანა ქუჩის ასფალტირებულ საფარზე.

ე) საგზაო ნიშნები და შუქნიშნები მონტაჟდება ისე, რომ ადვილი და თავისდროული გასარჩევი და დასანახი იყოს იმ მძღოლისათვის, ვისთვისაც არის გათვალისწინებული.

3. პროგრამის განხორციელების გზები:

ა) დიდთოვლობის შედეგად მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ტრანპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისათვის განხორციელდება ქალაქ ხაშურში ცენტრალური ქუჩების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან (თითოეული ტერიტორიული ორგანოში შემავალი სოფლები) დამაკავშირებელი შიდა გზების გაწმენდა თოვლის საფარისაგან და შესაბამისის მოვლა-პატრონობა.

ბ) განხორციელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი მდინარეების (მდ. სურამულა, მდ. ჭერათხეულა) კალაპოტის წმენდა და ამოღებული ინერტული მასალების ძირითადი მასა გამოყენებული იქნება გზების სარეაბილიტაციოდ.

გ) მუნიციპალიტეტის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდეს გზების რეაბილიტაცია (გრუნტის მოჭრა-გატანა, მოხრეშვა, მოშანდაკება, მოსწორება) და საჭიროებისამებს შეიძინოს აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მასალები (საწვავი, ქვიშა-ღორღი), რიგ შემთხვევაში მოახდინოს საჭირო მექანიზმების დაქირავება.

4. პროგრამის განხორციელების მოსალოდნელი შედეგი:

- ქალაქის ქუჩების, დაბა სურამისა და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან (თითოეული ტერიტორიული ორგანოში შემავალი სოფლები) დამაკავშირებელი შიდა გზების სათანადო მდგომარეობაში მოვლა-შენახვა.

5. პროგრამის დაფინანსების წყარო და სავარაუდო მოცულობა:

- პროგრამა ფინანსდება ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან;

- პროგრამის სავარაუდო მოცულობა შეადგენს 155 000 ლარს.

| ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები | სულ სუბსიდიის ოდენობა |
|--|-----------------------|
| შრომის ანაზღაურება | 26 400 |
| საქონელი და მომსახურება | 128 600 |
| სულ | 155 000 |

5. პროგრამის ხანგძლივობა:

პროგრამის მოქმედების ხანგძლივობაა 2013 წლის 1 თებერვლიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

6. პროგრამის განხორციელბაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური